

ტანკოტანკო

№ 104


კვირა, 12 ივნისი 1927 წ.

№ 104

„ბოლოში“ სახარების წესით



კილსუდსკი: მაპატიეთ და შეშინდეთ,—რამეთუ მარცხენა ხელმა არა უწყობ, რას შვრება მარჯვენა.



თვითელ ქვეყნის ფაშისტებს აქვთ თავისი სახელწოდება.

„შავი ხალატიანები“ იტალიის ფაშისტებია. „შავი“, როგორც სიმბოლო რეაქციის და სიკვდილისა. ამაში ისახება ძველი ტომის ტრადიციები, რაც ხანიათებს მსოფლიონის იტალიას.

„კუ-კლუ-კლანს“ ამერიკის ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის სახელწოდება—სიმბოლოა ამერიკის იმპერიალისტურ-მილიტარისტულ ზრახვებისა. „მსოფლიოს დაპყრობა (იარაღით)“,—აი მათი დევიზი.

„ფოლადის მუზარადი“—ძველი, ისტორიული ტანსაცმელი, რომელიც სხეულს ტყვიისაგან იფარავს,—ე. ი. თავისი ტყავის გადარჩენა. ასე ცდილობს ყოველთვის დამარცხებული. გერმანიას ხომ შეეცლებვის უპერბდენ (და უპერებს საფრანგეთი).

„შუბლმაგრიანი“—ინგლისის ფაშისტებია. (ჩვენ ამ შემთხვევაში სწორედ ეს უკანასკნელი გვანტერესებს).

შუბლი არის თავის ქალას ერთი (წინა) ნაწილი. თქმულებაა—ვისაც დიდი შუბლი აქვს, მას დიდი ტყინიც (—ქვეა) აქვსო.—მაგრამ ამ თქმულებას ზევრი დასციენის: —მას რომ იყოს, კამეჩი ყველაზე უფრო ქვეიანი იქნებოდა—რაღან მასავით დიდი შუბლი სხვა სულიერს არა აქვს.

მისი რამ აზვარაა: თუ ადამიანს ქვეა აქვს, იგი, მართლაც—და უნდა იყოს თავში შუბლთან მოთავსებული. ეს იქიდან სჩანს, რომ ადამიანი სწორად დაფიქრების და სერიოზული საკითხის გადაწყვეტის დროს, შუბლზე მიიღებს თითს, რომ ტყინს შეეხოს და აამოქმედოს ოგი. მაგრამ, თუ შუბლის იქით სიცარილეა, ცხადია: შუბლზე თითის მიღება საქმეს ვერ უშველის.

ამიტომ არც გასკვირია, თუ ბოლღუტინს და ჩემბერლენს ვერ უშველა შუბლზე თითის მიღებამ,—და ჩვენთან გასწავლენის ყოველგვარი კავშირი.

აქ კიდევ ერთი ჯარემოება არის მისაღები: რამდენადაც მაგარია შუბლი თავისი სქელი კანით, იმდენად შეუძლებელია შეგრძნება და ქუთის ამოქმედება. შეიძლება ამან შეუშალა ხელი ინგლისის დღევანდელ მესვეურთ. მაგრამ, ჩვენი დრმა რწმენით, აქ დამნაშავეა შუბლის იქეთი სიკვდილიერე.

ამბობენ:—თვალი სულის სარკეაო,—ე. ი. ადამიანის შინარაობა გამოიხატება თვალებში. დეე, ასე იყოს; ესლა ამ წერილის წერის დროს ჩვენ არ გვცალია ამაზე ვიღავით. მაგრამ თუ ადამიანი ორივე თვალვებით ბრმა არის,—როგორ გინდათ გაიგოთ მისი სულიერი მდგომარეობა-შინარაობა? სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ჩემბერლენ-ბოლღუტინის დასახასიათებლათ ჩვენ ვერ გამოგვალგება მათი თვალები, რომლებიც არა თუ შორმჭკრეტელნი არიან, არამედ, პირიქით: იმასაც კი ვერ ხედავენ, თუ რა ხდება თვით ინგლისში. ამას ისიც ემატება, რომ ჩემბერლენი ცალ თვალზე არასოდეს არ იშორებს მონოკლს.

ისევ სჯობია მათ შუბლს დავაკვირდეთ, მაგრამ უხეზულობა იმაშია, რომ, როგორც ყველა კონსერვატორებს, ამათაც შუბლი მაგარი აქვთ. (ამიტომაც ჰქვიათ: „შუბლმაგრიანი“).

ბატონ უწოდებენ ინგლისის კონსერვატორები თავის თავს: „შუბლმაგრიან“?—აი საკითხი, რომელიც ჩვენ გვანტერესებს და, სხვათა შორის. დღემდე არ ყოფილა გამორკვეული.

უნდა ითქვას, რომ ეს სახელწოდება მათთვის ზედმიწევნით შესაღარი და დამახასიათებელია.

შუბლის სიმაგრე, სიტლანქე სჭირიათ მათ იმისათვის, რომ ცხოვრების სამართლიან და სწორი გზით მიმდინარეობას წინ აღუდგენ თავიანთი შავარა შუბლებით. მართალია: ეს პრიმიტიული საშუალებაა ბრძოლისა. მაგრამ მათი სურვილიც ხომ ეს არის, რომ ცხოვრება უკან დააქნონ და წარსულს უფსკრულში გადაჩხონ! ბრძოლის ეს საშუალება დღეს დარჩენილია მხოლოდ ოთხფენა სულდგმულებში, რომლებთანაც, ალბად, მათ დიდი ნათიერ საუბრი კავშირი აქვთ.

მაგრამ არის სიმაგრე (და ამ სიმაგრეს საბჭოთა კავშირი ჰქვია), რომლის ადებებს ცდის დროს ისინი თავიანთ „მაგარ“ შუბლს მიამტკრევენ ამ სიმაგრეს. მაშინ კი მიხვდებიან, რომ „მაგარ“ შუბლის სიმაგრეზე უფრო მაგარი სიმაგრე არსებობს.*).

ამის გარდა შუბლის სიმაგრე საქორთა სხვა მოსახრებთაც.

მაგარ შუბლს სინდისი არ აწუხებს. ამიტომაც იყო, რომ პალატაში შეკითხვებზე მათ სირცხვილის სიწითლე არ უფრძნიათ.


და ეს არც გასაკვირია: ყოველგვარი სიწითლის წინააღმდეგი არიან, თუ გინდ ეს სიწითლე სინდისისაგან იყოს. სიწითლის თავიდან ასაცლებლად, სინდისსაც ებრძვიან, თუმცალია რა ბრძოლა უნდათ, როცა ასეთი მათ არც გააჩნიათ.

*) „აი დარდი ამ ჩემს ფეხებს... სრულებითაც არ ვწუხდები, თუ ეს მართლა მოხდება“—ო.

რაც მოგივა ღავითაო, ყველა უენი თავითაო



ამოგზავნენ:—აბა, მათ უმუხბოთ, ტყუილათ რომ არ გვაქვს უმუხლი მგზავრი!



უმომგვობიებს, და, როგორც ვხედავთ, მათარ ავაამს ტყილი უაჟარი.

ტყუილი იმედი აქვთ ინგლისის კონსერვატორებს თავიანთი „მაგარი“ შუბლის. აი, ნიმუშიც—(ღებუშა): „ლონდონი, 4 ივნისი. ინგლისის ვარეშე ხაქმეთა მინისტრმა—**ჩემბერლენმა** ავტონომიით მგ ზავრობის დროს თავი გაიტენა“. მაშასადამე: არც ისე „მაგარი“ შუბლი ქონებია „ბატონ“ ჩემბერლენს, როგორც თვითონ იკვეხნის! აბა, რატომ ვერ დიდება შუბლმა თავი გატეხისაგან?! ალბად, ცარიელი ვოგრა (ბირთვი) უფრო აღვილად ტყდება, ვიდრე ხაყეუ. ავტონომიის თვლებს (ბორბლები) ტრიალმა თავი

გატეხა „ბატონ“ ჩემბერლენს. (მონაწილე ვართ ამის გომო ინგლისის მუშათა კლასის სიბარულითა). **მაგრამ** ეს არაფერია: გატეხილ თავის მორჩენა ვქიმებს აღვილათ შეუძლიათ... მაგრამ თავი რომ კისერს აბია!? ცხოვრების ჩარხის ტრიალი კისერსაც მოსტენს „ბატონ“ ჩემბერლენს... მაშნ კი მსვერ უშველის ვერც ისეთი ცნობილი ვქიმბაში, როგორც არის მაკლონალდი.

ინალი.

„კომბინი-გატოქანი“



კამეჩი (ბოლდუნის): რას მიპქარავთ? რას მიედ-მოედებით? გინდა მარილათ გიქციო მავი შენი „მაგარი“ შუბლი?
ბოლდუნის (კამეჩს): რას მიბღვერი, ძმობილო?! ჩვენ ორივენი ერთი მოჯგმისა ვართ...

რევიზია

კოოპერატიულ მალაზაში გახურებული მუშაობა იყო. მუშტარი გულმოდგინეთ აწევბოდა დაზგებს და გულმოდგინეთვე ასაღებდა ფასდაკლებულ საქონელს. მალაზის გამგე თავის კაბინეტში იჯდა და სულმოუ-თქმულად აბოლებდა თამბაქოს ტრესტის პაპიოსს, რომელს არა მარტო ფასები, ხარისხიც დაკლებულია. აი, ამ დროს... საიდანაც იყო გამოტყვრა სარევიზიო კომისია, რომელსაც, გამგის თქმით, რალაც ეშმაკად მოე-პრიანა კოოპერატივის დათვალეიერება.

— რა ბზოკი შეუჯდა ამ შიჩვენებულებს, რა დროს რევიზიაა, ალბათ უმუშევრები არიან და საქმეს იჩენენ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გამგემ და ზანტად წამოიღდა. მობრძანდით, ამხანაგებო! — მიმართა სტუმრებს დიმი-ლით, — გთხოვთ დაბრძანდით. ამ ფასების დაკლებას კამ-პანიამ პირდაპირ საგონებელში ჩაგვაგდო. მართალია: ჩვენი საერთაშორისო ეკონომიური პოლიტიკა ამას მოე-თხოვს, მაგრამ, ხომ იცით, ამასაც დიდი შრომა სჭირდება.

სარევიზიო კომისიის წევრები ჩამწყკრივდენ მაგიდის გასწვრივ.

— აბა, როგორ არის დირექტივის შესრულების საქ-მე? — იკითხა კომისიის თავმჯდომარემ.

— დირექტივის? ახლავე მოგახსენებთ... ივანე, — და-უძახა გამგემ თავის შოადგილეს, — აბა, თუ ძმა ხარ, მოუ-ყვე ამ ბატონს ფასების შემცირების შესახებ.

— ამ წუთში! — შემოსძახა ივანემ (ფრადლად გამოც-დილმა და მრავალი ჭირის მნახებელმა კაცმა). სათვალეე-ბი ამოიღო, თან მეტად საეჭვო ფერის ცხვირსახოცი ამო-იყოლა და გაწმინდა სათვალეები, რომელთაც ცხვირსა-

ხოცის წმენდით არავითარ ცვლილება არ განუცდილათ.

— ფასების დაკლების დირექტივა, ბატონებო, — დაიწყო ივანემ, — რომელიც ჩვენ გვქონდა მოცემული უმაღლეს განათლებულ ორგანოებიდან... — ორგანოებიდან კი არა, განათლების კომისარია-ტიდან, — გაუსწორა გამგემ. სარევიზიო კომისიამ ჩაი-ცინა.

— სულ ერთია, განათლების კომისარიატიდან, თუ სხვისგან — არ გაიტეხა ივანემ ესტიბარი, — დილ, ეს დი-რექტივა შესრულებულ იქნა სამასი პროცენტით. სარევიზიო კომისია შეიშმუშნა.

— დილ, ამხანაგებო, — განაგრძო ივანემ. — თქვენ გიკვირთ ჩემი ნათქვამი, მაგრამ ამ წუთში დაგარწმუ-ნებით... დირექტივის ძალით, პირველ ივენსამდე ფასებო უნდა შემცირებულიყო 10 პროცენტით, ჩვენ შევამცი-რეთ 30 პროცენტით.


სარევიზიო კომისიამ შხრები აიჩეჩა.

— მე ვატყობ, რომ თქვენ შორს დაიჭირეთ ჩემი სი-ტყვები, — ნახევრად ნაწყენი კილოთი წარმოსთქვა ივა-ნემ, — ამიტომ ნება მიბოძეთ მოგაყვანოთ ციფრები. სარევიზიო კომისია თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მოიტანეთ! — გასცა განკარგულება ივანემ. მოიტანეს ფასების შემამცირებელი დავთარი.

— დავიწყოთ ტკბილეულობიდან, — სთქვა ივანემ, — რადგანაც ტკბილად დაწყებული საქმე საიმედოა. ტკბი-ლეულობის ფასები საშუალოდ შემცირებულ იქნა 40 პროცენტით. მართალია, შაქარს მხოლოდ ერთი კაპეიკა დააკლდა გირვანქაზე. მაგრამ ისეთი საგნები, როგორც

„ნ უ ბ ე უ ი“



მძიმე ავთიმოლოზი (მსახურს): ვინ იყო, კარზე რომ მოაკაკუნა?
მოსამსახურმა: არავინ. მეკუბოვე გასლდათ და გიკითხათ,—როგორ ზრძანდებო?

არის ტორტი, შოკოლადები, კეგები და სხვა ასეთები, საგრძნობლად გაეცაიფეთ. ამით ჩვენ ხელს უწყობთ მშრომელთა გაფართოებულ მასებს დაუბრკოლებლივ შეასრულონ თავისი მოვალეობა და პირველჯერინა არ დარჩენ სახელის დღეობებში და სხვა კამპანიებში ასე, მაგალითად, თუ წინად ტორტი 5 მანეთი ღირდა და კაცს არ შეეძლო ასეთ სიძვირის ვაშო დღეობაში წასვლა (ხელცარიელი ხომ ვერ წახვალ, ტორტი, ან შოკოლადი თუ არ მიუტანე). ახლა საქმე სულ სხვანაირადაა: 5 მანეთიან ტორტს ახლა 3 მანეთად იყიდი, ამ სამმანეთიან ტორტს დღეობის ავტორს მიუტან და სამის კი არა, ექვსი მანეთის მართლ-დინოს შესვამი... დანარჩენ ხორავს მე აღარ ვამბობ. ასე რომ არსებობდა პირისპირს მაინც იგებ. ეჭვი არ არის, რომ ამით ჩვენ ხელს უწყობთ დღეობების გაავრცელებას. დღეობა კი, ხომ იცით, კეთილდღეობის მომასწავებელია...

— შემდეგი!—მოუჭრა რევიზკომმა.

— შემდეგ მოგახსენებთ პირველი მოთხოვნის საგნებს შესახებ,—ასეთია: პულრები, გრანიცის წინდები, სტატუეტები, სამურაბები, დოხები, ფარფორის სერვიზი, სამოვრები და სხვ. ამ საქონელზე ფასები შემცირდა 50 პროცენტით.

— განავრძეტი!—სიქვა რევიზკომმა.

— ხილულობის განყოფილებაში,—მართლაც განაგრძო ივანემ,—ფასები შემცირდა 200 პროცენტით: რაი თვის წინად ახალ შემოსულ ბალს ვყიდდით 60 კამეკად, ეხლა ვყიდით—აბაზათ, „კლუბნიკას“ ვყიდდით პარველად ოთხ აბაზად, ახლა—ხუთ შაურად. ასევე ალქო, ტყემალი და სხვა პირველი მოთხოვნის საგნები...

— შემდეგ!

— ასეთივე მდგომარეობაა გასტრონომიულშიც „სელოიდკა“, რომელსაც სუნი ასდის, შესამჩნევად გაიფუტა, რადგანაც სულ ერთია, თუ არ გაიყიდა, უნდა გადაეყარათ ასევე ითქმის შარშანდელ მყავე კიტრის და სხვათა შესახებაც...

— ფართლეულობა?—მრისხანედ იკითხა რევიზკომმა.

— ფართლეულობა?!—გაფითრდა ივანე.—იგიც გაიფუტულია, მაგრამ ცოტაოდნათ... ხომ იცით, ზედნადები ხარჯები, მივლინება, შტატი, ბუქვალტერია, დამგველი და სხვა... მიუხედავად ამისა, მაინც გაიფუტა შალეულობა, რომელსაც ამ სიტყვაში გასავალი ირა აქვს.

— ჩიო-მიტკალი?

— ისიც გაიფუტა, მაგრამ, სულ ერთია, მიტკალს მაინც არ იძლევი... ასე რომ, რომც გაიფუტეს, მუშტარს ვერ მივცემთ...

— სულ რამდენი პროცენტით გაიფუტა?

— სულ, როგორც მოგახსენეთ, ორას პროცენტით, მაგრამ დამტერულ კასრებს თუ მიუმატებთ, რომელიც მეტის-მეტად გაეცაიფეთ, მაშინ მეტი გამოვა.—არქარაბით ლაპარაკობდა ივანე და შიშით შესცქეროდა რევიზკომის მოღუშულ შუბლს.

რევიზკომს წაეცა. გამგე და მისი თანაშემწე მოტანული თვალებით შესცქეროდნენ ხილულის და ტკბილეულის განყოფილებას, საიდანაც მოწყებით აყურებოდნენ დასაძკლებული ტორტ და „კლუბნიკა“.

საქიომო ექიმიზი

„მ ო ტ ი ვ ი“

ზირან ზოგნი მკურნალნი
ცოდნითა შესაფერითა,
ნაქებნი თაის საქმით და
სიტყვითა ზომიერითა.

მაგრამ ასეთი ექიმნი
დღეს ჩემგან არ იქებიან;
ჩემი ქვემოთ ნათქვამნი
სულ სხვა გვართ შეეხებიან.

წარმოდგენილი გექნებათ,
ყოფნა რა მოსაწყენია,—
როდესაც კაცს შეეცრება
უკუონებელი სენია.

ერთი ასეთი მეც შემხვდა,
(ექვსი თუ შვიდი წელია);
მაგრამ ვერ ვპოვე აქამდე
წამალი გამკურნელია.

უწინ ვესტუმრე ექიმსა
მახლობელ პუნქტში მყოფელსა;
(მის უკეთესი მკურნალი
არ ყავდა არც სხვა სოფელსა).

გამომიწერა სასმელად
მან ფხვნილი დარიშხანისა,
მაგრამ მით ველარ შევიტყვე
გადილიერება ჯანისა.

კიდევ რა მიველ, ეს მითხრა:
— გუიოა დოსტაქარიო,
რადგან მაგისტრის ჩვენ არ გვაქვს
წამალი უებარიო.

დოსტაქარს როცა ვიხსლ,
დამსინჯა ძარღვთა სრესითა...
— რა სენი არის ბატონო?—
გკითხე კლაკენით და კენესითა.

— „სისხლის მიომქცევი მილეების
სიგანირე არია;
— არც მიულდება წამალი
— არც უნდა დოსტაქარია,—

— რადგან სუსტია ძალიან
— ამ შენი სისხლის მილეები...
ხევრსაც ნუ იჯდომილები-
— გაიწყენს შრომაიკ ოა დგომაცა,

— ნუ შეუდგები მგზავრობას
— საკუთარ ფეხის იმედით;
— ნუ ივლი ცხენით, ნურც ეტლით;
— და ნულარც ველოსიპედით!“

(ამ ექიმს ვერ მოვიხსენებ
მაინც მაინც და მაინც მდურვითა,—
მაინც დამაინც მდურვითა—
ფრენით და მინდა ცურვითა).

ახლა სოფელში ისეთი
ექიმი არ მყავს ცნობილი,
რომ ჩემი გულის ტკივილი
არ ჰქონდეს მას განდობილი.

სოფლად ვერ ვნახე ხეირი,
ხევმართე ისევ ჭალაქსა;
(ვიფიქრე:— პარიკმახერი, ალბად,
ალბად აუკობებს დალაქსა!?)

სტუდენტთა ექიმს ვეახელ,
(რადგანც უფასო იყო)
მან შესაფერო წყალობაც,
მა მნახა მყისვე მოილო.



ძალი (ვაუს): რაშია საქმე, რომ ეს ერთი ხანია, გატყობ, ნაკლებ გი-
ყვარვარ და უწინდელ „ჩემო ძვირფასო“-ს მაგიერ, „ჩემო იაფფასია-
ნი“-ს მეძახი?

პაშვი: ეს იმიტომ, რომ ახლა ფასი ყველაფერზე დაკლებულია და
როგორ დაგიძახო „ძვირფასი“, როცა ყველაფერი გაიაფებულია!

რა გამომკითხა ამ სენის
ბიზავი დაწერილებითა,—
ქორუტგთან მისეგა მირჩია,—
გამომყვია გზის სწავლებითა;

— კამოს ქუჩაზე რა გახვალ,
ას სამი ნომერიოა,
„ქორუტგული კლინიკა“
გარედანც აწერიაო.—

ქორუტგს ვერჩენე. დამსრისა,
ძარღვებმა მიწყეს ტკივილი;
ცოტა დამიკლდა, თორემ იქ
კინაღამ მოვრთე ყვირილი.

ნერვების ექიმს ვერჩენე
ქორუტგის დარიგებითა;
მალე შევატყვე იმასაც,—
ვერ-რას მარგებდა რგებითა.

მხოლოდ ეს მითხრა:— მძობილო,
რასაც ვერ გაიგებნო,
ყოველგვარ სნეულებასა
ხერვიულს აბრალებნო...

კვლავ სხვამ მნახა და ასე სთქვა:
— არ ვიცი რა სენიაო;
ალბად აღრევე გტკივოდა,
ახლა-კი მოგარჩენიაო;

მე მაინც გირჩევ, მიმართო
ჩვენს ნაქებ პონტოეგსაო,
მაგ სენის სახელ-წოდებას,
ალბად, ის გაარკვევსაო.—

მაშნ ვთქვი: „პა ამანაც
დაიწყო მიღებ-მოღება;
თუ არ მოვრჩები, რად მინდა
მე სენის სახელ-წოდება!?

მას შემდეგ ბევრმა გამსინჯა, მსრისეს და მზილეს ხელითა და ჩემი ავადმყოფობაც მონათლეს ბევრ სახელითა.

ოთხთა მით რჩეულ ექიმთა ფილტვების სინჯეც დამიწყეს; (თუ ფილტვის რამე მტკიოდეს, მე ტარტაროზი გამიწყრეს).

ერთმა მორჩია:—მაგისტვის ეწვიე ასათიანსო,— მაგრამ, იცოდე, ნახვისთვის მოგთხოვს სამ მანეთიანსო.

ვერ მიველო, რადგან ადრევე მქონდა „იმედი“ ჯიბისა, რომელსაც ფლობდა მძლეუთა-მძლე ნეუფეს სიღარიბისა.

ყოფშიძესაც კი მივმართე სხვა ექიმების რჩევითა; აქაც იგივე მომისდა, რაც რომ ვითხარით ზევითა.

(ეპს! თურმე, სადაც არ ბრწყინავს წყეული ჯადო ფულითა, რჩევა თვით მთავარ ექიმთაც მკრთალი და ორჭოფულია!)

აჰა, ბოლოს უამს გამოჩნდა ჩემთა ტანჯვათა სახსნელი,— მიმგზავნეს ჯავრიშვილთანაც (მისგალა უკანასკნელი).

მან მითხრა:—ძმაო, რა ვითხრა. შეგყრია ატროფიით, მორჩინა არ შეიძლება, წამლობა რას მიქვიაო.—

წამოველ დაღონებული, ესთქვი:—რომელს დაეჯერება? ან ამათ არა-რა იციან. ან „სტყუის“ მეცნიერება!

ვწუხობ, რადგანაც არ იყო, კაცი ამ სენის მკურნალი... ამ დროს გამოჩნდა დამხსნელად ჩვენი გრძნეული ყურნალი.

ივია ჭირთა წაშლით, მიჯობს ექიმთა წყებასა; როცა ვკითხულობ, —ტკივილიც ეძლევა დავიწყებასა.

პითომ გამოსწორდება?

ზაჰესისთვის, უნდა ითქვას მართალი, საჭიროა ტარტაროზის ჩანგალი, რომ ამოსცხოს ზოგიერთებს მკერდებში და ზოგს კიდევ მუცელში და ფერდებში. სუფოველდღე სტრის ჩვენი ანტონი, უპასუხებს მოთქმას მას აპოლონით: — ქვე, მე რა ვქნა! ახოლენი ნისია არ მომსწრია და არც ვიცე ვისია! წაიღებთ ყვე—გასწორება არ იცით... ჯამაგირი ხომ აძლეთ?—მომეცით!

ასე არის სასადილოს ნისია; დანახარჯი არც იცან ვისია. სასადილო ჰქვია, თორემ ნამდვილად საესე არის კეარტებით,—შიგ დათვრები აღვილად. არც სადილი არის ხეობიანი; (ლობიო სჯობს თედოს შაურბიანი) შაური ღირს ერთი ჯამი წყალია (ეკრეჟიმის, მეონტ არის ბოლია). ამის ირველივ არის საყვედურები ისეთი, რომ არ ისვენებს ყურები



— ბოლოს-ა-ბოლოს როდის უნდა მომცე ჩემი ოცი მანეთი? — გაძლევ პატიოსან სიტყვას.. — რა ეშმაკათ მინდა შენი პატიოსანი სიტყვა?! ერთი ათი მანეთი მაინც მომეცი!

მინდა მოუძღვნა საჩუქრად წარგსდგე წინ განალიზები,— ექიმებს ესე ამბავი, ტარტაროზს ეს ექიმები.

ღირსების გამო ეს ძღვენი იქნება დასაწუნარი,— მაგრამ რა ვქნა, რომ შეტისთვის არ შემწვევს ახლა უნარი.

ქავი.

ანტონს ვეტყვი:—ნუ გგგინივართ ხამებთ შეიძინე ბარემ კილოგრამები. დააყენე ერთ დონეზე ფასები, შეამკირო კვარტიანი თახები. გინებასაც მოუკელი, ანტონტ; არ იფიქრო—კლუბს არა ჰყავს პატრონი.

აქ მაგიდა მუშეოპოს უდგას გრილოში (კავი კვებით, ვადრე სასადილოში. თან იძიხის ანდრო გახარებულო: -- თოლ! ვეჭრობა იყოს გამალებული— სად მუშეოპოი, სად ქეფი ღვინითა, ძასთან სკრიპკაც „ჩემჩაირა“-ს ჰმნითა?!

გავიარე; არ სჩანს პარიკმაზერი. (წვერი მქონდა მოსაპარსი ოხერი); მგონი ლექსო ჰაკარაკად წასულა; გახდა თვე და წვერი არ მოპარსულა. სახლში მისვლას ცოტა კიდევ აკლია... ეჰ! ეინ მოსთვლის აქ რამდენი ნაკლია!

ვინკრავა.

„ბ ე ო --- ლ ო ბ ი ა“

— გაიგეთ რა ხათაში ჩავვარდი? ვა; მთელი ფერმ-
ფერდი ნაიზუსტათ ვიცი, ჰამაც ათასი ხათ მინახია, ქვე-
ყნის გადაბრუნება და მეორეთ მოსვლა გამიგონია, მაგ-
რამა პირადალი ვიყო თუ რომ ამისთანა ჰაკარაჯი რამე
გამეფანოს!

კაცო, შებნებანი თუ ყველაფერი წინ მიდისო, ნაუ-
ჩნი რამეები იგონებენ, სხვადასხვა მოდნი იავლენიებს
აჩენენო და რაც რომ ახალი რამე გაიგო, არ უნდა გავი-
ციროდესო!

ვახ! მოდი და ნუ გაგივირდება! დედამიწაც მოდ-
ნას აპყვეს, პირიროდაც აცუსტრუქდეს, ზირთი-ფირთები
დაიწყოს, რაც რომ ათადან ბაბადან უფალ-ღმერთისგნით
დაწესებულა, ჰარისასავით არიოს—მაშ გასაკვირი არ
არის?

ასტვაც, ტერ-ასტვაც! გავირევებული კი არა, პირ-
დაპირ პარაფონი ვხდებს, რალა, ეშმიში მამდის, ჰელეთ-
მელეთი შემართება—მააშ!

შარშანდელი ამბავი ზომ განსოვთ: ცაში მსკვლაჯი
რომ გატყდა და იმისი ასკოლკა ბათუმში რომ ჩამოვარ-
და? გაზეთებშიც ჩაადგეს: ასმა, დიდი ნაუჩნი სლუჩია
მოხდაო, მსკვლაჯებმა ერთმანეთში ისევე ქნესო, სპო-
რიო რალა, ერთმანეთს დაეჯახნენო, და ერთსა პატარა
უგლაო მოსტყდაო, ეს უგლაო ბათუმთან ჩამოვარდა და
სახელათ მეტროიჩისკი ასკოლკა ჰქვიანო,—ჰამაც სიგრ-
ძი: შვიდი მეტრო არის და სივანეც ჩერესჩურ დიდი
აქვსო!...

მოდი შენ და დაეჯერე! ვიძახი:—ეე, ბემურაზ, ვის
ატყულებთ, ბრძების შკოლაა? შახიდე რალა ცაზედა: თი-
თო მსკვლაჯი თითო კალიცოს ტოლაა, ის ღმერთს ცაში
დაუქინდა,—თოღ, ეკიდოს რალა, იმას დაბლა ვინ ჩა-
მოაგდებს, ჰამაც მსკვლაჯს ქვა საიდან მოსტყდება—წა-
რიჯელე ზომ არ არის მეთქი?

თუო, ეს ვასტრონომიჩისკი ნაუკაო, მსკვლაჯეები
დედამიწაზე დიდაო, ჰამაც ქვები, მიწა, მტკვარი რამე,
ყველაფერი ზედ არიო—მააშ! ეხლა ნაკიანი დროება და-
დგა და გეო-ლოგიაც ჩერესჩურ საშიში რამეაო!

— მეთქი, ეგ გეო და ლოგია ვინლა დოზანები არიან?

— გეო—მიწა, გეოლოგია მიწის ნაუკაა, რალა, რაც
რომ დედამიწას ხარახტერები აქვს, ყველაფერი გეოლო-
გიაში სწერიაო. ეხლა თბილისი გეოლოგიურად რო
ვთქოთ, ვულკანიჩისკი პოჩეაზე შადგა, მიწიძერები ხდე-
ბა და შაიძლება, რომ მთებიც კი დაიხგრესო!

ჰუსურში არ დაეიჯერე, მასხარათ გაეაკეთე:—მეთ-
ქი, თქვენ ლილახანა გაგზუნებით. და თითილბაზობთ
რალა, რამეებს იგონებთ, რა არის, ჰარიფო ხალხი ვართ
და დაეიჯერებთ! რის გეო, რის საქო, რის პოჩეა, არა,
რომ მიწა ნაკურთხ ხარის რქებზედა დგას, და როცა ის
ხარო თავს გაიქნევს, მიწისძვრა ხდება მეთქი!

დამცინეს: ასმა, ნაივნათ ლაბარაკოვ, ჰამა თუ ყური
არ გვიდღე, ინანდო! მეორე ზაფხული რო მოვა, მაშინ
რაც რომ ქალაქში ნესტიანი კლდის ძირებია—ოჩერედით
დაიხგრევიან და იმთა ახლო ცხოვრება აპასნიაო! აი,
პრიმერნათ, შენ მამადავითის ძირში სახლი გაქვს, იქ
კლდეს უყე ტრეშინა უქნია და თუ რომ დროზე არ უპა-
ტრონე, და პაჩინკა არ უყავი, მერმის დიდი აპასნი რამე
მოგელოსო.

საქმეში ხარ? არ დაეიჯერე. ჰამაც ვფიქრობდი:—
ეე, ახმან, სადაური ანგარიშია, სახლისათვის კრიშა ვერ
შაიძლებნია, რემონტი ვერ მიქნია და კაზიონს კლდეებს
ბაჩინკა უყო, ბათქაში დავარტყა? ჰქვიანო მოდი, რალა!...

პუბლუს! წლებანდელმა ზაფხულმა ყველაფერი არ
გამამართლა?... თურმე ეს ბემურაზი გეოც და იმისი
„ლოგიაც“ მართლები არა ყოფილან? რის ხარის რქები,

რის თევზი, რის ფლანი და ფსტანთ? მიწა ჩუმლაყის სპა-
ზამიროსავით რგვალე არა ყოფილა? ისე, თურმე რალაც
ისემეზე ჰკილია რალა, ჰამაც ვალჩოკივით ტრიალებს და
თავისი კანონები ჰქონია. ეს კანონები ინჯილრებსა სცო-
დნიათ—მააშ!

ახარ, არ უყურე? ამ ზაფხულზე რომ დაიწყო, რაც
რომ მთის ძირებია, სულ ბედასლათ იქცევიან, ესეც მოდ-
ნათ შამოვიდა, ერთმანეთს პადრაყენია უშვრებინან, ჰამაც
ნათლებს ზემოდან აწვებიან და სულ ლაფშინის სპოქვის
კოლოფებივითა სწყყეტავენ. შენ ხალხი თქვი,—ხალხიც
იხოცება რალა, ჰუსურში დვიანოი ზარალია!

ერთიც ვნახოთ. ამას წინათ ჩემი სახლის გასწვრივ,
ქეთევანსკი უგლაოში მთა რა ჩამოწვა? გაზეთებში და-
სწერეს:—ასმა, თავის დროზე კლდისთვის პაჩინკა ექნათ,
არ ჩამოინგრეოდაო. ეხლა სხვაგანაც აპასნია და ფრთხი-
ლათ უნდა იყოთო. ჰამაც მეგნებოდნენ:—ისპალკომი კა-
მისიას ადგენს და შაიძლება რომ სახლის პატრონებს დაა-
ვალონ ყველა მთების რემონტო!

ამას წინათ გავდივარ, ბალკონიდან ვიყურები, ვა,
სტალობნიაკი მამდის: ერთიც ვნახოთ, ჩემი სახლის წინ
კლდეს მუშტის ტოლა ტრეშინა არ უქნია? ვიფიქრე:—
ჰაა, ეს ფინთი საქმეა, ამ კლდეებმაც ერთი-მეორეს პა-

„თავმოწონება“



უცხოელი სულიგანი (აქაურს): ჩვენში ისეთი
მრავალსართულიანი სახლებია, რომ თვალს ვერ აუწვდენ!
აბაშური: მამ მაგი რა არის! ჩვენ ისეთი მრავალ-
სართულიანი გინება ვიცით, რომ ერთი შეკურთხებით
თქვენს მრავალსართულიან სახლის სახურავზე აგავდებთ!

დრაჟენია უყვეს, ერთი ჩამოწვა, მეორეც ზედ მიჰყავა—
ჰობოპებო აფორინეს რალა, ამით რალა დააყენებს მეთქი?

იმავე ნიმუტში გაერბივარ და კალატოზ ქუფთა-გი-
გოლას ვეძახი:

— ქუფთაჯან, თუ პურმარლიგწამს, ამ კლდეს ერ-
თი ჯიგრიანი პაჩინკა უყავო, ეს ღირკა ამოლესე, ზავალი
არა ქნას და ეს ნუგბარი ცოლშიელი არ დამიღუპოს მეთ-
ქი. გაურბივდი, აყალო, აგური, ქეჩმა რამე.—ყველაფერი
მოვიტანე და ყველა ბათქაშები გამოვლესეთ.

სალამოზე ჩემი გოგო გართანუშა მეზნება:

—პაპაჯან, ახარ უცოდინარ კალატოზს რათ ენდო-
ბი, არა რომ კლდის ჩამოწოლა ნაუზნი რამეა, სწავლა და
ცოდნა უნდა,—აპრედელენია, პლანი, რამე—ტრეშინე-
ბის ამოვსება რა კალატოზის საქმეა—მაგას ინჯილერი
უნდაო. მე და ქარქვეტაანთ სირანა ერთ გორნი ინჯი-
ლერს ვიცნობთ, ჩერესჩო სიმპატრინი ვინმეა, ჰამაც ისე-
თი ნასწაველი ვაყვია, რომ ერთი ბურაოს ჩაშვებით მაშინვე
იგებს მიწის ვნუტრენი რამეებსო—მააშ! ვეტყვი და ხათ-
რით მაგ კლდეს ისე გაამავრებს, რომ მარტო მთა კი არა,
რაც კი ჩვენს სახლში ღირკებია, ყველას დააპაჩინკებსო.
ჩემი ცოლიც აჰყვია და სუფსარქისის პეწეზიებით
ამიტყდნენ:

— ინჯილერი გვინდა, ინჯილერი და ინჯილერიო!..
მოვაცყვანინე. კარკი ჯეჰელი ბიჭია, ჰამაც ამ ჩემ გოგოს
ცოტა ქეშათ უყურებდა. დაიწყო ჯერ კლდის შინჯვა,
მერე სახლს ლიტონიასავით შამოუარა და სთქვა:

და კ ი თ ხ ვ ა ზ ე



—შენი სახელი?

—მო... მო... მო... მოხე;

—ვა! მეც მოხე მქვია, მაგრამ ჩემი სახელი მახე
გრძელი არ არის!

— აქ დიდო ოპასნი საქმეა, ჰამა თქვენი ხათრით
უფასოთ გავაკეთებო, ოღონდ დიდი ხნის პრედვარი-
ტელნი მუშაობა უნდა, პლანი და სხემა უნდა შაჟადენო
და დანარჩენი მერე იქნებაო.—ვა, პაქალუსტა, თოღ,
შადინე, რომელ ოთახში გინდა, აქ იმუშავე მეთქი...
სპალნა აირჩია...

ის იყო და ის: მთელ კვირას ის ლუპუსტაცი ურის
ზოხასავით აგვეკიდა, ჯე რიგინათ ვათენებულოც არ
იყო, რომ მოდიოდა და სპალნოს, დუქნიდან რა ვბრუნ-
დებოდი, აქვე მხედებოდა: სპალნაში ხან ჩემი დედაკაცი
კეკელა, ხან ჩემი გოგო ოჩერედობით შაჰყავდა და თურ-
მე რის პლანი, რის ფლანი, მთელ დღეს ომით ელაყებო-
და და აბლლაძუნებოდა. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ჩემ
გოგოსა და კეკელას შუა რევენსტობნაქნით ჩორთი და
ჩხუბი ჩავარდა... შავიტყე რალა, იენი პადლოგი კეთ-
დებოდა.

ერთ დღეს შუადღისას დუქნიდან ჩემათ მოკიდევარ,
აკოშკიდან სეკრეტნათ ვიყურები და იცი, რას ენებამ?
ის ლუპუსტაცი ჩემ ვართანუშას არ ებულრაყება? ხან
აქედან აეკრობა ქაბაბის ლავაშივით და ხან ოქიდან. ჰა-
მაც ტანიი ჰუნარებიც სხვა იყო. დობრანი ხელში ჩავედო
ველარ მოვითმინე და ვეძახი:

— ინჯილერ!

— ჰამე!

— ზუხკუ, მანდ რას აკეთეჟ მეთქი?... იმან, თუო:—
აქ მე პადრობნი პლანებს ვიდეჟ, რომ უფრო მკვიდრი
პაჩინკა უყო ტრეშინებსო!

ვენებო:—შე ლუპუსტაციო, მაგ გოგოს რა და-
პლანეა უნდა, თუ შენ გულში რაზბონიკობა არა გაქვს,
კლდის პაჩინკას სპალნაში რა უნდა მეთქი! ჰამაც შეგ-
ვარდი და ერთი რიგთან პირიანათ ავადრასტე, მერე კეკე-
ლას მივდექი და ისიც ჯიგრიანათ დავტოქსე.

ჩავარდა ყალ-მაცალი, ჩხუბი, ჩემი გოგო და კეკე-
ლაც ერთმანეთს თმებში სწვდნენ და ბოლოს საქმე სა-
სულდეთ გახდა! იმ ლუპუსტაცმა ინჯილერმაც იმტოლო
იჩალიშა, რომ ქალაქის ბლაგაუსტროისტვის კამისია გა-
მამიგზანე. კამისიმ ზაკლურენია გააკეთა და გამამიგზა-
დეს, თუ:

— აქ ცხოვრება აპასნია, მთა უნდა ჩამოწვეს და სახ-
ლი დასცალეთო!

ვენებო:—ეე, ახაახ, თქვენ ბატის ღვინო ხომ არ და-
ვიღვევით? სახლს მე ამიშენებია, კლდი ვის ჯიგრიანი
პაჩინკა მიქნია, მაგის გოლოსთვის ოჯახში ბრიბარო და
ყალ-მაცალი მამსვლია და ესეც არ გინდა მკეპაროთ,—
სად უნდა წავიდე მეთქი?

ბან ჩუნის? მთელი ბატალიონი დამასიეს და ძალით
გამამავდეს. ეხლა სოფელში მივდივარ, დანა მინდა და-
ვიკირო და თუ შემოდგომამდის ამ ქალაქის ყველა
მთებს ოეზობატი არ ვალკეთეს, ზამთარში უბნაოთ ვრჩე-
ბი რალა, საპრიუტეთ მიხედება საქმე. ჰამაც სულში შაი-
ლება მევე გამამტყუნონ:

— ასმა, ინჯილისთვის კლვეტა გიქნია და მუშა-
ობის დროს ხელი შეგილოია! ეს პემურაზები იმას კი
არ კითხულობენ, თუ როგორ მუშაობდა და რაზე მუშა-
ობდა!... აი, ასეთ ხათაში ჩამავლო ამ მიწის გეოლოგიამ
აი წაწყდეს მაგის მამგონი და გამგონიცი თანა!

ფარსადან.

„ცენტრალის მონაზონი“

„ქვეყნის სატირალს ცენტრალის მონა-
ზონი სტიროდა“-ო.

ხალხური თქმულება.

ამ სათაურის წკითხვისთანავე, თქვენ, ალბად, წარ-
მოგიდგათ ნამდვილი მონაზონი,—აი ასეთი:

შუატანის მოხუცი დედაკაცი, წელში მოხრილი, ჯო-
ხით ხელში, სახე დამქნარი და, რაც მთავარია, მონაზონის
სპეც-ტანსაცმელში. (შავი და ანაფორისებური კაბა-წა-
მოსასხამი); თავზე შავი ცახოცი ნიკაპზე გამოკვანძული
და ფეხებზე ხარაზული წალები.. (მართლაც, ხომ ასეთი
სურათი წარმოიდგინეთ!)

ჰმ! ჰმ!

მოდიოთ-და ნუ გავცინებთ! რა აქვს საერთო ასეთ
მონაზონთან ჩვენს კვიროსს?.. არაფერი.

კვიროსი მამა-კაცია დონ-კიხოტისებური ტანით.
წელში არა თუ მოხრილია, პირიქით, ისე გაჭიმულად და
ნიადაგის პერპენდიკულარულად დაირება, რომ მის
„სარგადაცლალს“ ეძახიან, მართალია: თავმოკაუქებულ
ჯოხს იგიც ატარებს, მაგრამ ეს ჯოხი ცოტაოდენადაც არა
ჰგავს მონაზონის ჯოხს. მისი „ტროსტი“ უდრის მისი
(კვიროსის) სიმალოს ნაწიგარს. ეს იქიდან სჩანს, რომ, რო-
ცა „ტროსტი“ მიწას ებჯინება, მისი („ტროსტის“) თავი
წელზე სწვდება კვიროსის; ხოლო როცა სიარულის დროს
ზევით იქნევს, „ტროსტის“ ბოლო უთანასწორდება ვერ-
ტიკალურ სწორ ხაზზე თავის კოფოს. (უმაღლესი მწვერ-
ვალი—ზენიტი კვიროსის მორტელევილ თავისა).

კიდევ უფრო დაწვრილებითი აღწერა არ არის საჭი-
რო იმის დასამტკიცებლათ, რომ კვიროსი მონაზონი არ
არის...

მაგრამ მას მაინც ცენტრალის მონაზონს ეძახიან ნა-
ცნობი.

— როგორ ბრძანდებით კვიროსი!—ქვეშევსეში სიცი-
ლით ეკითხება კვიროსის მისი ნაცნობი, რომლის შეკით-
ხვებზე ქუჩაში მიმავალი და დაფქრებული კვიროსი შე-
კრთება და ნაცნობს შემოხედავს.

— ა! შენა ხარ?! როგორ ვიქნები?!.. ძალიან ცუდათ.

— რატომ, კაცო?

— რატომ, კაცო, და, თუ ახლა ომი დაიწყო, რა ეშ-
ველება ჩემს ცოლის-ძმის ცოლს! ერთი დედა და ერთი
ძმა ჰყავს. ომი რომ დარჩეს, იმ ბიჭს წაიყვანებენ... ახლა
ამაზე ვფქვობდი.

— ნუ გეშინია, კვიროსი; ინგლისი ომის დაწყებას
ვერ გახედავს... დარდი ნუ გაქვს!

— როგორ თუ ნუ მაქვს, კაცო, დარდი? განა ჩინე-
თის ომი სადარდელი არ არის?

— სამაგიეროთ, ჩინეთი, იქნებ, ამ ომიდან გამარჯვე-
ბული გამოვიდეს და სამუდამოთ მოიშოროს იმპერიალის-
ტების უღელი.

— მერე-და ვინ გაცოცხლებს ომში დაღუპულთ?!
არავინ. კაცი როცა კვდება, მოგჭამა მერე ჭირი—მისი გა-
ცოცხლება და ამ ქვეყნად მისი დაბრუნება, ტყუილი იმე-
დაა.

მერე რა ვუყოთ,— ყველა სიკვდილის შვილი ვართ!?

— აი, სწორედ, უმბედურებაც და სატირალიც ეს
არის, რომ ყველა კვდებათ. ქვეყანაზე რომ ეხლა ხალხი
ცხოვრობს, იმაზე ათითაის მილიონჯერ მილიონზე მეტი
მიწაში განისვენებენ.. ჰო-და ასეთი ამბავი განა სადარდე-
ლი და სატირალი არ არის?!

— მერე ჩვენ რას გავხედებით, რომ ვიდარდოთ და
ვიტროთ?! საქმეს მაინც ვერ ვუშველით!

— ჰოო, შენს პირს შეპარი; აი, სწორედ, სადარდელი
და სატირალიც ეს არის, რომ დარდითაც და ტირილითაც
ვერაფერს გავხედებით!

— ვერ მეტყვით თქვენ, თუ რა ბედი ეწვეოდა იმ
ფრინავებს, რომლებიც გაფრენილან და მას შემდეგ
არაფერი ისმის მათზე?—ეკითხება კვიროსი საქმეთა
მმართველს, რომელსაც ხელში გახვითი უჭირავს.

თქვენ რა გაინტერესებს? თქვენი ძმა თუ ბიძაშვილი
ხომ არ ყოფილა იმ პაეროპლანზე?

— არა, მაგრამ სხვა აღმინები ხომ იყვენ! ვინ იცის
ახლა ისინი სად და როგორ არიან! იქნებ კიდევ დაიდუპენ
საწყლები! იქნებ, შველა უნდათ!

— ე, ჩემო კვიროსი, მაგას სჯობია—იქ საქმეს მიხე-
ლო და ხალხი გაისტუმრო.

— რა სჯობია, კაცო! იქნებ ისინი ეხლა იღუპებიან
და ჩვენ კი აქ პირადობის მოწმობების წერას ვუნდებით!
ის ხალხი ზეცაში გაფრინდენ, და ამათ კი პირადობის მო-
წმობა უნდათ. სად მიდიან, ნეტა, ეტენი!.. როგორ უნდა
დაუდგა გული მუშაობას, როცა ასეთი ამბები ხდება. წაი-
კითხვეთ პოლანდიაში გრივალს რა უქნია! ვინ იცის, რამ-
დენი დატოვა უსახლკაროთ.. აი, მაგალითად, მანახვე მა-
გი გახვითი,—ავერ სწერია შემთხვევებში: „დავითის ქუჩა
№ 36. ფეხისადგილიში ნახეს ახალდაბადებულ ბავშვის გვა-
მი. დედა (მასწავლებელი ქალი) გამოტყდა“. ვინ იცის, ეს
ბავში რა კაცი გამოვიდოდა!? იქნებ დიდი პოეტი, ან სა-
ხელმწიფო მოღვაწე გამოსულიყო,—და, საწყალი კი ასე
დაიდუბა... ან და რა უნდა ასწავლოს თავის მოწაფეებს
ასეთ მასწვლებელმა?! ვერაფერს კარგს ვერ ასწავლის.

კვიროსის არ ეძინება და ლოგინში შესწვავ გოქიციო
ტრიალებს.

— ალბად ის ქალი თავის დახარზობას აპირებდა! სა-
წყალი იქით-აქით იცქირებოდა. ვაი, თუ გადავარდა და
დაიხარხო? იქნებ, ვინ იცის, ახლაც იქ არის?! რომ ვინმე
ქრისტიანმა გიაროს და მოაშოროს,—გადაარჩენს. იქნებ
ახლაც აქ არის და ვერ გუბენდია თავის დახარზობა. ყოყ-
მანშია?! ავღგები, წავალ და გადავარჩენ!

კვიროსი დგება და ხილზე მიდის.

შუალამზე გადასულა. ხილზე იშვითად თუ ვინმე
გაივლის. არ სჩანს ის ქალი.

— მაღლობა ღმერთს,—ანგელოზს ეშმაკი დაუძლე-
ვია—ქალს თავი არ დაუხარგო... მაგრამ, იქნებ, უკვე გა-
დავარდა და... იქ მიაღერ ნაპირზე ცოცხალ-მკვდარი! რა-
ლაც, მგონი, კიდევ სჩანს იქ შავად... მაგრამ მას თეთრი
ტანსაცმელი ეცვა!.. არა, თეთრად სჩანს, თეთრად... აღ-
ბად შველა უნდა!

კვიროსი მიდის და ათვლიერებს მდინარის ნაპირებს.

— არ არის. ალბად სახლში წასულა. იქნებ მე მოკრა
თვალი და წავიდა სახლში? მაღლობა ღმერთს; ეხლა კი
წავალ და ტკბილად დამეძინება..

— რას დახეტილობ აქ? თავის დახარზობა თუ გინდა,
რა აქ მოთრეულხარ? ვერ გადავარდი ხილიდან? გაეთრიე
აქედან!—ჩასძახა ნილბანამა კვიროსის, დანა მიაბჯინა
გულზე და რბილ ალავას მაგარი პანლური ჰკრა ორ-სამ-
ჯერ.

— კინალამ ხელი არ შეგვიშალა! მომიწოდე ძვირფა-
სი საქონელი. დახლში თუ რამე ფულია, არ დასტოვო!—

ბ ა რ ბ ა რ ო ზ ი



დედა-კაცი (ვაჟარს): ჩემი ქალისათვის ისეთი არაფერი გაქვთ შეხაფერიხი?
ვაჟარი: როგორ არა!—ოცდახამი წლის ვაჟი მყავს!

ცუბნებოდა ერთი მეორეს.—ვიჩქაროთ, თორემ იმ ოხერმა არაფენ მოიყვანოს და არ დაგვიჭირონ!

კვიროსი მიდიოდა და უკან-უკან იხედებოდა. ტკივილებს გრძნობდა და პანლურ ამონაკრავ ალაგს იფხანდა.

— ალბად, მას უნდოდა თავის დახრჩობა და ეგონა, რომ მე შეუშაღე ხელი.—გაიფიქრა კვიროსიმ და შეჩერდა—დავბრუნდე დაგადავარჩინო?.. მაგრამ, ვაი თუ კიდევ მცემა?.. ცემა არაფერია, ცემას გაუძლებ, ოღონდ კაცი გადავარჩინო!—გადასწყვიტა დაბრუნება და ის იყო უნდა დაბრუნებულყო, რომ ეზოდან რაღაც ხმაური მოესმა და თვალი მოჰკრა ორ ანარდლოს.

— იქნებ ვინმეს მოკვლა უნდათ! ან, იქნებ, ქურდობა!—და კვიროსი ეზოში შევიდა.

ვილაც ფანჯრიდან დაგმოჰხტა; ხელში დიდი შეკრა ეჭირა. ოთახიდან ხმაური ისმოდა—მასპინძელს და მის ცოლს ბინის გაქურდვა გაეგოთ.

— ვინ ხარ?—არ შეიძლება!—შეეკითხა კვიროსი და დააპირა ქურდის დაქერა.

— ჩააფარე მაგას!—მოისმა ხმა და, საიღიანაც იყო, კვიროსის ცხვირპირში სილა გააწნეს.

კვიროსიმ ერთ წამს თვალეზში ზაპესის სინათლე იგრძნო და შემდეგ მიწაზე დაეცა.

— აი, შე ავაზაკო, შენა!—დაეცა გაქურდული მასპინძელი კვიროსის და ლაზათიანად ცემა დაუწყო.

ხმაურობაზე მილიციელები მოვარდნენ.

— გამქურდეს... ორი იყო... ეს ერთი ძლივს დავიჭირე!—ეუბნებოდა დაზარალებული მასპინძელი მილიციელებს.

კვიროსის ვერ უშვილა თავის მართლებამ და... კომბოსტოში წაიყვანეს.

ზ ა ჯ ე ს ი ს ბ რ ა ლ ი ა



სულიზანი: გაგვიპირეს ხაქმე მ ზაპესის ქებით. რა ყრია ნეტა შიგ? ერთი ბნელი კუთხე აღარსად არის, რომ ამ მშვენიერს ვაკოცო!

„კრიკაშვილი“ გაღმოს წარიღი

შპო ნიკა! შე სიყმე ძაღლო, განა დიდა ვაცი რომ გახდით ჩვენზე იღარ უნდა იფიქრო! შენ თითონ პრიკაშვილი იყავი და ჩვენი ყადრი არ უნდა დავავიწყდეს. გახსოვს ახა-შარუმოვთან და ყარაჯევთან ერთად რომ ვმუშაობდით? აი გილი ჟამანაკ! რა დრო იყო! ხაზეინი დაიწყებდა უნამუსობას—აბა ვიყვარდეს ზაბას-ტოვკა, ვინსტავის მუშების ჩამტერე-ვა და კუბო გამოხატული წერილები რასაც მოვიწადინებდით, იმას ვმვრე ბოლით. ღებუნდ ვევიკიდა ხაზეინის ზარალი. რასაც ნაკლებ და უფულოთ ვიმუშავებდით, იმდენი ჩვენი ხეირი იყო.

ეხლა სულ სხვა დრო დადგა: საქმის გაფუჭებით, (კულდუტობით და დაუღებრობით შენ შენს საკუთარ ოჯახს ლუბავ. ნაკლებ იმუშავებ—ხალხს აზარალებ, ხალხიც ჩვენ თითონ არა ვართ! უსამართლოთ როცა შეპყრობიან, სულ იმას ვიძახ:

— დემრთო, რატო ეს ერკობი ვანო ბოლქვაძესი არ არის, რომ ერთი გარგი ოინი უყოთ მეთქი!

ჩვენ ხელში ჯანჯულაზოვეებმა, ქიშმიშოვეებმა, პაპოვეებმა, ბაინდუ-

როვეებმა, გოზალოვეებმა ვერ გაიხარეს და ჩვენ გაუშვდით ერისთავებს, ამირალოვეებს და აკიმოვეებს რამე გაიფხაკუნებინათ.

ეს ჩვენი ახალი ხაზეინები ხომ ნე-პრიკასნავენი გახდენ—ჩორთ სნიმი! მუშტარიც რომ გაირყვნა! წინათ რა მტუკებს უმვრებოლით ჯანჯალ მუშტარს! ერთხელ ერთ ჩინტაკოპიანმა დედაკაცმა ერთი ლამფის შარისთვის ჯვარზე მაიცვა რილა.

მემრე, მამეირი ვერ გადაუხადე თუ რა! ხუთი საათი არშიებთან ლამფის შარს არჩევა—ძლივს აარჩია; სახლში კი როცა ქალაღი გახსნა შარის ნაგვირათ ემალიროვანი ნაწილი პასუდა ამოიღო და თავის ქალოს და შვილებს ანგებოლით ვაღაქცა. წავიდეს,—საცა თავისი დიკეხხოს, ჩემიც იქაც თქვას.

აბა ეხლა მოახდინე მანგირი ფოკუსი! ჯერ სამსახურიდან ქეციანი ძაღლივით გაგაგდებენ, მემრე „მუშა“-ში გამოგქიმავენ, მერე პაკაზატელნი სულს გაგამართავენ და თუ გადაარჩი: ზეირას პანსიონს, მაშინ პირჯვარიც უნდა დაიწერო, რომ ასე იაფათ გამოძვერი.

ეხლანდელ მუშტარს სულ პაქა-ლუსტებით ელეპარაკე. ორი აბაზის ვინტიფელმუშკები რომ უნდა—სულ დომხალიკით აარევენ საქონელი—ხმას, კონტს ვერ გასცილ. რაოჯანაც სიძვირისაგან ნერვები აქვს ყაჭივით აწეწილი. სულ თავი და თავი პირველი სორტის საქონელი მიეცი და და ზიანებულა, დამპალი, დაყეილი გა-ღვახაწე ნამაჩემ ბახრულარას.


აშასაც გაუძღვდით, რომ ახალი ეპიდემია არ გაჩენილიყო. გამოვიდა სნიენის დეკრეტი. სავეცკი ვლასტი თხოულობს ფასების დაკლებას. მემრე, შე მამა ცხოხებულა, ვინ გიშლის ხელს სწონილი შენი არის—უხუქქი! ნუქათა ვადაყარე. მე, პრიკაშვიკ ზაღლოა, რა შუაში ვარ, რომ ყველას აბუჩათ ასავდები ვამხადეთ.

სნიყენე ვინდა—გატარე ცხოვრე ბანი, როგორც ვინდა. თუ შენ დაყენუხულ კაცებს არ ენდობი, მაშინ დავალე ერთ ქრისტიან კომისიას, გამარაკვონ საქმის ვითარება საკითხის საზოლოლოთ გადასაწყვეტათ. ერთი კომისია არ კმარა, მაშინ ყველა კოლპერატის მიაყენე თითო კომისია. კომისიაში სულ გველეშაპები და ლომები დანიშნე, რომ სიმარგე ვა მოიჩინონ.

მოსაზრება

„ბიოლოგ დენფორსის გამოკვლევით, ალკოგოლის შხამი ანადგურებს მდებრობით სქესის წარმომშობ სპერმატოზოიდებს და ზრდის მამრობით სქესისას“.

„მეცნიერება და ტენიკიდან“.



ცოლი: შე უბედურო, ყოველთვის გაღეშილი უნდა მოხვიდე დაწოლის დროს!

ქმარი: მაშ... მაშ... გ ეთში წავიკითხეთ... ყველაფერი ვიცო... „ხეკრეტი“ გავიგე... რათ მინდა ქალიშვილი? შე ვაჟიშვილები მინდა... ხუფრაზე მართლ-ათს ვაში წვევენ... აჯან, გენაცვალე ვინაც მაგი გამოიგონე... თანაც ღვინას სჯამ — ქეფობ, თანაც ვაჟი გეყოლება... აჯან, აჯან! „ლაიოშ ევროპუ“...

მაგრამ რაც ეხლა ხდება ეს სულ დავთრების აშლაა. ჩვენ მალაზიებში სიქმეს ხომ აღარ ვაკეთებთ. ბოლქვა-ძე ვანო დამდგომია, გულიანათ რომ არ მუშაობთ ვაქრობა დავარდაო, განახევრდაო.

გასაკვირი ეს კი არ არის, რომ ვაქრობა განახევრდა. კაცს ის უნდა გაუყვირდეს რომ დახლში კიდევ ფული შემოდის.

ჩვენ განა ეხლა პრიკაზიკები ვართ. არა, ჩემმა მზემ! ჩვენ ვართ კალექსკი რეგისტრატორები.

მუშტრისთვის სადა გვცალიან. მთელი დღე სნიუენის კამისიებს უნდებით.

მერე რამდენი და რა ჯურის კამისები: ნარკომტორგისა, გოსპლანისა,

რაიონისა, კავშირისა, გორისპალკომისა, ლავოჩნი კომისია, ეკონომ კომისია, ეკონომსავეშინიე, რაბკორები და სტენკორები.

გუშინაც ჟენატელიდან ჩვენი ეშმაკ პეტრუსთან სათენიკა მოვიდა თავის დამქაშებით და მოითხოვა ახალი პრესკურანტი. სნიუენიე ქალებს უფრო ეხებათ და ამ საქმეში ჩვენ პირველი ხმა უნდა გვქონდესო.

მე და ჩემმა გამჩენმა, ხვალ რომ მეკუბოების კამისია გაჩნდეს, არც ეგ გამიკვირდება, რადგანაც ისინი ბევრ მიტკლსა ხმარობენ კუბოებისთვის და დანტერესებული არიან სნიუენიაში.

ამ კამისიებთან ლაპარაკმა ტვინი მთლიანათ გამილაყა, სახლში რომ

ვბრუნდები საღამოთ, სულ მუშტებს ვიქნე — ჩემი ცოლი ვარსენიკა და ორი შვილი მე სნიუენის კამისიათ მეღანდება.

ძმაო ნიკო! ჩვენი ამორჩეული ხარ და გვიპატრონე. რათ გინდათ რომ 50 პროც. პრიკაზიკებისა საგვიეთში ვაიგაზნოს — ეგ არც სტრაბკასისათვის არის სასარგებლო და არც კავშირისათვის.

ერთი იმნაირი დეკრეტი გამააშვებინე, რომ თითო ჩვენ დუქანში დღეში სამ კამისიაზე მეტი არ მოვიდეს.

რაც უფრო ნაკლები სნიუენის კამისიები იგლის, იმდენი მეტი დააკლდება ფასები საქონელს.

ბალოა მოგიკედეს თუ რომ ტყვილს ვიძახდე!

ბილივიჩია


ჯღჯღსათის კუთხე



ზამპარია ობობაჰმ

იყო და არა იყო რა... იყო და ახლაც არის სურამში ზაქარია... გვერი ობობაჰმე, ხალხმა მისცა მას. ხალხი ყი არასოდეს არ ცდებდა შეფასებაში. ნამდვილი ობობა ზაქარია... მაგრამ რაღა ჩვენ ვილაპარაკოთ; ყური დავუგდოთ კიკოლიკოს:

ძველ დროში ზაქარია სასამართლოს მდივანი იყო... და დახელოვნებული ყოველგვარ „საქმეში“. ეს საქმე მან გასაბჭოების შემდეგაც განაგრძო... და ალბად ამიტომ იყო „მიამბრძანეს“... მაგრამ კაცს თან გამყვა თავისი „ცოდნა“ — „სხეტობა“. ზაქარია დღეს „ვექილია“ და გლეხებს ხშირად ატყვილებს. იგი ქუჩაში დგას და გამყვლელ - გამომყვლელ გლეხებს თავის ქხელში აზამს.



რომელია ის გლეხი, რომ არ ვაებას ამ ჩემს ქსელში? გაეზმება,—მივვარდები და ამ კლანჭებს ჩავდებ ყელში. ვარგი არის ეს ხელობა, ამას მოაქვს ქანქარია. ამით ვცხოვრობ, მხოლოდ ამით ობობაჰმე ზაქარია. მე რა მიჭირს, თუ გლეხებში უვიცები აქ არიან! იმათ ფულებს რომ დავსტყუებ,— ჩემთვის იგი ზაქარია.

მ.ლ.-და — განაგრძობს კიკოლიკო, — ვარგი იქნებოდა ზაქარიასაც ანახებდენ გამსახლს, როგორც ეს უქნეს დათიკო ხაონელს, რომელიც ეხლა „მოკვდიანდა“.

ჩვენც ერთად-ერთ საშუალებად მხოლოდ ეს მიგვანჩნია. მართალია: ეხლა ზაფხულია, მაგრამ არა უშავს; დასვენება მაინც მოუხდება ზაქარიას.

!!!პასუხი!!!


სად. ხორაგოულში „მკლავაძემ“ სცემა მუშა დიდძეს. დიდძემ უჩივლა მას... ფაქტი დადასტურდა; მაგრამ „მკლავაძემ“ დაუსჯელი დარჩა.

— რატომ? — შეეკითხა დიდძემ.

— ეიკო, კაცმა 12 აპრილს გცემა, მას შემდეგ ხომ ხედავ რამდენი დრო ვავიდა. მისი ნაცემი გვერდები და იარაღები უკვე მორჩა, და რაღა დროს ახლა მისი დასჯა! — იყო პასუხი ასეთი... მართალია: შეიძლება ჯერ არ თქმულა, მაგრამ სიტყვას რა მნიშვნელობა აქვს! თვითონ საქმე შიტყველობს ამ სიტყვებს და არა ჩვენ.

„გასწორება“

ბევრმა იცის სადგური ვაზიანი, მაგრამ არ იცნობს მის უფროს ვლადიმერ ბენსაძეს. ამიტომ ნება გვიბოძეთ გავაცნოთ ძალიან მოკლეთ: მას ცა კვატთ არ მიანია, და რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ მიწა ბოტინკებად არ მიანდეს.



აი იმ კაცის გასწორებას თხოულობს ამაყი მთა, და ამავე დროს მას ეძახის: გაუსწორებელი აღამიანი თუ გაუსწორებელია როგორ უნდა გასწორდეს!... მაგრამ ტარტაროზმა აი ასე გაასწორა იგი.

საჭამიასერი (გურია)

არც არის გასაკვირი, რომ ყველამ ჩვენ შეგვექამოს. საჭამიასერი ასე წარმოსდგება: ხალხს ქონება—კოოპერატივი, ბანკი, სკოლა,—ყველაფერი ეს საჭამია, ანუ შესაქმელია. როცა შეჭამ ხალხის ქონებას, მერმე დაიწყება სერი. ამ ორ სიტყვიდან (საჭამია, სერი) წარმოსდგება ჩვენი თემის სახელი: საჭამიასერი.

მაგრამ არსებობს კიდევ მეორე ვარიანტი, უფრო სწორი და შესაძარი, თანაც ისტორიულად გამართლებული.

საჭამია ნიშნავს იმ ალაგს, სადაც შინაური საქონელი მსხვერპლი ხდებოდა მგლებსა და ტურების იმ სერზე, სადაც ეხლა რაიონული დაწესებულებები: კოოპერატივი, სას.-სამ. ბანკი, აფთიაქი და სხვა.

ამიტომ არც გასაკვირია, თუ აქ ახლაც უწინდელი-სებური ამბები ხდება. მაგრამ ჩვენ სხვა რამე გვინტერესებს. ბანკში ხაზინადრად იყო რაჟდენ კვინტრადე, რომელიც ბირველად გლეხებს „სულში უძერებოდა“. მაგრამ ბოლოს მოხდა მარჯვნივ გადახრა. ეს „მემარჯვენეობა“ აღდგესი ცხომელიძემ არ მიიღო... რაჟდენი მოხსნეს; „გზა მშვიდობისას“ მარშით მთცილეს რაჟდენი საკუთარ სახლამდი.

რაჟდენი ეხლა ზის სახლში და ამბობს: — სადაური ჩემბერლენი ვნახე აღდგენი, რომ ჩემი „მემარჯვენეობის ხაზი“ გაეტარებია!? ეს აღრი ონდა მცოდნოდა!... **კირილიეონ.**

წ. შ. რაკი სიკეთე ჰქენი, ტარტაროზო, და წერილი დამიბეჭდეთ, ბარემ ესეც დაუმატე:

◆ საჭამიასერის სამკითხველოს გამგემ ცოლის მოყვანის გამო სამკითხველო ერთი კვირით დაჰკეტა.

◆ აფთიაქის გამგე კვირა-უქმე დღეებში არ აკეთებს წამლებს, რითაც ხელს უწყობს ავადმყოფების მალე გარდაცვალებას.

◆ ღვინის სმა ავკრძალა მასწავლებლებს: ვალო-დიდს და რაფიელს; ხოლო ვენერას და პროკოპის მიესაჯათ ცალ-ცალკე სიარული, რაც გამოწვეულია. (გამოტრელებულია).

სწრაფობა შიშობა



აკოვ სააკოვს (სიღნაღი): კარგია, თანდათანობით მოვითავსებთ. მოგვაწოდეთ კიდევ რამოდენიმე მოთავსებულია ღლეგანდელ ნომერში.

სკვინჩას (საჯავახო): „კერძო ვაჭრებს არაფერი გავგებთ, გარდა იმისა, რომ ფული გაყვლიფონ“-ო (იხლა გაიგეთ ეს ამბავი?) სანიმუშოთ მოგყავით.

მომიტანეს საქმელი
შეუწყვედი ჰორცია.
„კოთხები თავის-თავს:
— ტყავია თუ ხორცია?


ვინ დასთვალს რამდენი
შიგ ჩამხრჩვალან მწერები.
მართალს ვამბობ, მირწმუნებ
მე მას არ ვემტერები.

კერძს პირი ვერ დაღადე.
შაინც მივეც ფულით...
ყელს მომაწვა შიგანი,
ამერია გულით...

შორს, შორს,—აქ არაფერს დაგემართოს. მოისაქმეთ უსუკერო ვალორში და პატივი ეცით საჯავახოვლ თქვენს პატივისცემელს.

ეწრელს (ვანი): დარდიც ნუ გაქვთ. რამდენიც არ უნდა „უხტეს“ აგრონომი კანდელაკი, თავის წილს ზემოთ შარც ვერ აუხტება. თუ შაინცადამაინც თავისას არ მოიშლის, ასწავლეთ ის კედელი, სადაც გამოკრული იყო კედლის გაზეთი, რომელმაც მის შესახებ ეწერა. ვფიქრობთ,—ის კედელიც კი გაუძლებს მის თავს.

„აი ბიჭო, არ იცოლი“-ს (ტობანიერი): კოთბერატივის ვირთხებს, რომლებსაც თქვენი კოოპერატივი „შეუსანსლავს“, აი ასეთი ხაფანგა მოუხსნება. ტარტაროზი



ვიგზავნის მათ დასაქვრ და მოსათავსებელ ხაფანგს, რომელიც ტენიის და გამოვლენების უკანასკნელი სიტყვაა: აწი თქვენზე და მოკიდებული ვირთხების შეპყრობა.

ქალთა წრის წევრს (საქარის თემი, შორაბნის მაზრა): თუ მაშინ გამოაცხადებს, რომ:

— მარგარიტა ნებერიძე მართლაც მარგალიტი იქნება ქალთა წრის ხელმძღვანელათ, მაგრამ ეხლა, როგორც სწავს, მას ალ. ელიავასთან არშიყობა ურჩევია წრეში მუშაობას, თქვენც ნუ უშლით ხელს და გაანთავისუფლეთ მძიმე მოვალეობისაგან.

„ტანკა“-ს (ნატანები): თუ არ ვცდებით, თქვენს შარადიდან გამოდის: პურამიძე, რომელიც, თურმე:

ყბედობს და ლაყბობს მუდამ უამს.
მუშები ფეხზე ჰკილია;
ნატანებისა სადგურში
მინი სახელი დიღია.

საკვირველია, თუ კი ასეთი სიმძიმე ჰკილია, როგორ დადის და კიდევ ბატონობს! ენახოთ ამის შემდეგ.

ჟანჟორას: გულს რომ არ დაგაკლდესთ, ამა, ვათავსებთ მართლწერის დაცვით თქვენს „რუსთველის გამზირი“-ს მხოლოდ ერთ კუთხეს (ალბათ ლალიძისწყლის მახლობელ ალავს):

ახალგაზრდობის სახიროთა
ბადალი არ ჰყავს რუსთველის გამზირს-
სუყველას იქ სურს რომ ღრო ატაროს
და სიყვარული არა აქვთ სხვა გზის.

მოდის და მოდის ქალი და ვაჟი
რიგრიგობით და ხელები მხარში.
ფეხებს აწყობენ, თითქოს მათ ეხმით
ფალიაშვილის ორკესტრის მარში.

თვალწარბგაშლილი არხეცს კურტუმოს
ღლიაგში დუხის სუნი ასდისა.
მათი შეხედვა თვითიუღ წამის
არის დამწველი ახალგაზრდისა.

ჩამოველი რა ქალაქ ტფილისში,
სხვა აღარ მინდა გამზირის გარდა-
ახალგაზრდული სისხლი მეც მიჩქეფს
და ეს გამზირი მეც შემოიყვარდა...

მუ სულდათქმულათ და დამწვიდებით
ლამაზ ქალების ვერ შევსძელ ცქერა.
სჯობს რომ მოვშორდე გამზირსა, თორემ
გადავირვი მე ასე მჯერა...

(ამაზე უფრო?) აბა, თავს უშველეთ და ისევე მამიშე ნის კერას მიაკითხე სოფელში, თორემ სიტყე კიდევ უფრო მოიმატებს გამზირზე.

პრილი ჩადაძვირის მიმართ.

გათხოვთ დამიდასტუროთ, რომ თქვენს ყურნალის № 101-ში მოთავსებული „გლები“-ს ფსევდონიმით წერილი შალვა გ. მალრადის შესახებ მე არ შეკუთვნის.

ლეღვან-მარტლისის შვიდწლიანი მასწავლებელი: კრისტეფორე ირაკლის ძე მალრადე.

ჩადაძვირისაგან: გადასტურებთ, რომ სხენებულა წერილი არ ეკუთვნის ქ. ი. მალრადეს.

„ბრტაროში“-ს შებდეკი ნომერი 105

სკეციალური საგავშო-სამოსწავლო ნომერია

ამაგე ნომერში გამოცხადდება
კონკურსის შედეგები

გზას იქით ჰქონია

შანხაიში ინგლისის მეფის დაბადების დღის აღსანიშნავათ გამართულ დღესასწაულის დროს ჩინეთის მოსახლეობაში გავრცელდა გომინდანის ფურცლები, რომელშიაც სხვათა შორის სწერია: „ჯოჯოხეთის ტარტაროზს გაუგზავნეთ გვირგვინოსანი მუქთა-ხორა“.

(ღებუშებიდან.)



ტარტაროზი (ინგლისის მეფეს—გიორგის აგდებს ჯოჯოხეთში): ძალიანაც რომ არ გინდოდეს, მაინც უნდა შეევასრულო ოთხას მილიონიან ხალხის სურვილი. აქ არავისათვის საჭირო არა ხარ: იქ კი ნიკოლოზს მაინც ასობევნებ შენი მისვლით...